გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(111) 2016 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

მრავალ ახალ წელს!

წინაპრის მოძახილი ვარ,
ოცნება მომაქვს შორედი,
ნუ დარდობ, ჩემო სამშობლოვ,
მე შენს საშველად მოვედი.
იმდენი რძე ვსვი დედისა,
ხარისებრ მიჭრის თვალები,
იფეთქე, ჩემო მამულო,
მე შენს გულს ვენაცვალები.
მტრისათვის კოპი შევკარი,
გულს ძარღვი დავაჭიმინე,
არ შედრკე, ჩემო სამშობლოვ,
აქა ვარ, შენი ჭირიმე!

გილოცავთ 2016 წლის დადგომას, გისურვებთ მშვიდობას, შვილთა სიმრავლეს, სიუხვეს და ბარაქას ჩემი რაიონის მცხოვრებლებო და სრულიად საქართველოს ქართველობას. დაე, ეს წელი ყოფილიყოს სიკეთის და ბედნიერი მომავლის, საქართველოს აშენების წელი!

მოდის წელი ახალი,
იმედებით, რწმენით,
დაესწარით, იხარეთ
სიხარულით, ლხენით,
დაიფარე უფალო,
საქართველო ჩემი!

შოთა სონიძე
85 წლის, სოფელი უჯარმა

ჩემო ძვირფასო საგარეჯოელებო

გილოცავთ შობა-ახალ წელს. თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების, ახლობლების, საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წინსვლას და სანუკვარი სურვილების ასრულებას გისურვებთ.

როგორც წესი, ახალი წლის დადგომას ვუკავშირებთ ხოლმე განახლების, ახალი ენერგიით ცხოვრების გაგრძელების იმედებს; სურვილი გვაქვს, უკეთესად გავაკეთოთ ის, რასაც მანამდეც ვაკეთებდით, ან სულაც ახლებურად დავიწყოთ ცხოვრება. სწორედ ამ სურვილის რეალობად ქცევას გისურვებთ - მეტი შემართებით გაგვეგრძელებინოს დაწყებული საქმეები, მეტად გაგვმართლებოდეს ახალი წამოწყებებისას, უფრო მეტი წარმატებებისთვის მიგვეღწიოს ახალ 2016 წელს.

რახან პირადი კეთილდღეობა და წარმატება წარმოუდგენელია ჩვენი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის წინსვლის გარეშე, ამ ახალ წელს საგარეჯოსა და მთლიანად, ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და წარმატებასაც გისურვებთ. გასული წლის ბოლო ნამდვილად იყო იმედისმომცემი - ადგილობრივ დონეზე ჩვენ მივაღწიეთ იმას, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ვცდილობდით - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს სასმელი წყლის პროექტის განსახორციელებად ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ თანხა გამოყო და წელს სოფელი უდაბნო სასმელი წლით სრულად მომარაგდება! უდაბნოში წყალი იქნება! მთავარია, კონტრაქტორებმა არ დაგვაღალატონ!

და ყველაზე მნიშვნელოვანი, გასული წლის ბოლოს ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა სათანადოდ დააფასა და ამ ახალ 2016 წელს, საქართველოს თითოეული მოქალაქე ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად, ვიზის გარეშე გადაადგილებას შეძლებს. დიახ, ჩვენ ისტორიულად ვართ ევროპის ნაწილი და ეს ევროპამაც აღიარა!

მგონი, სიტყვა გამიგრძელდა და ახალი წლის მოლოცვას აქ დავასრულებ.

ქვეყნისა და საგარეჯოს აღმშენებლობის საქმეში თქვენს გვერდით მიგულეთ.

სიყვარულით,
თამარ ხიდაშელი

(შეგახსენებთ, რომ პარლამენტის დეპუტატის ბიუროს ახალი მისამართია: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. №15, II სართული. ბიუროს ხელმძღვანელია კახაბერ ხვთისავრიშვილი. ტელ: 599 13 20 38. სამუშაო საათებია 9^{30}-$18.^{00}$)

შობას და ახალი, 2016 წლის დადგომას ვულოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის და ქართველი ერისათვის, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობისათვის. ამ წელს მოეტანოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული და ქართველი ერის სულიერი გამთლიანება, ხვავი და ბარაქა, სიხარული და სიყვარული, მშვიდობა, ერთად დგომით, ერთად ყოფნით მოგვეგვარებინოს ის საკითხები, რომლებიც ერთნაირად გვაწუხებს ადგილობრივ თვითმმართველობას და ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს

ფრიდონ ბურდული,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
გიორგი გზირიშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

რა სიახლეებით შეხვდა საქართველო 2016 წელს

ევროინტეგრაციის გზა და ჩვენი პასუხისმგებლობა

2015 წლის 18 დეკემბერს ევროპამ გაგვიხსნა საზღვრები – ევროკომისიის ექსპერტების შეფასებით, საქართველომ შეასრულა ყველა ის მოთხოვნა, როგორც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით იყო გათვალისწინებული – საქართველოს მოქალაქეს შესაძლებლობა გვეძლევა უვიზო მიმოსვლისთვის ევროპაში. საქართველოს მოქალაქეებს საშუალება გვექნება უვიზოდ ვიმოგზაუროთ 30 ქვეყანაში. აქედან, შენგენის ზონის 22 ქვეყანაში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში: რუმინეთში, ბულგარეთში, ხორვატიასა და კვიპროსში და ევროკავშირის ისეთ არაწევრ ქვეყნებში, როგორიცაა შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და ისლანდია.

მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს და მკაცრად დავიცვათ:

შენგენის ქვეყნებში შესვლისა და ყოფნის წესები, ადგილობრივი კანონმდებლობა, საავტომობილო მოძრაობის წესები, საზოგადოებრივი წესრიგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას და დაეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც მოჰყვება იმ ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე ვადით.

მაშ, ასე, ამჟამად საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ ან ვიზის ქვეყნის საზღვარზე მიღებით, მსოფლიოს 61 ქვეყანაში შეგვიძლია მოგზაურობა. მათ შორის მეზობელ ქვეყნებში: აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანსა და თურქეთში. ამასთან, უვიზოდ, ან ადგილზე მინიმალური თანხის საფასურად ვიზის მიღებით შეგვიძლა გავემგზავროთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში: არგენტინა, ბოლივია, კოლუმბია, ბრაზილია და ურუგვაი, ასევე შეგვიძლია წასვლა ბაჰამისა და მალდივის კუნძულებზე. ეს, რა თქმა უნდა, 2015 წლის მდგომარეობით. და რაც შეეხება 2016 წლის ივლისიდან, მას კიდევ 30 ქვეყანა ემატება.

ახალი პრემიერ-მინისტრი

2015 წლის მიწურულს ირაკლი ღარიბაშვილმა მოულოდნელი განცხადებით დატოვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტი. განცხადებისას თქვა: „თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო. ახლა, როცა გამყარებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების საშინაო და საგარეო მიმართულებები, მინდა ვუსურვო წარმატება ჩვენს მომავალ პრემიერ-მინისტრს“.

2016 წელს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის ახალი თავკაცით – საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის სახით შეხვდა.

№1(111) 2016 წელი, 1-15 იანვარი

ძველი და ახალი წლის მიჯნაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

ახლადარჩეული პარლამენტარი

ახალი წლის წინა დღეს ***საქართველოს პარლამენტის წევრმა* თამარ ხიდაშელმა, *დეპუტატის საგარეჯოს ბიუროს ხელმძღვანელმა* კახაბერ ხვთისავრიშვილმა** მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან ლია გიგაურთან ერთად იმ ახალი სასწავლო ინვენტარის საგარეჯოს მე-2 და მე-4 საჯარო სკოლებისათვის გადაცემაში, რომელიც ამავე სამინისტროს ეგიდით ხორციელდება ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყნის სხვა საჯარო სკოლებში.

საქართველოს პარლამენტის ახლადარჩეულ წევრს საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან დეკემბრის ბოლოს გომბორის თემის მცხოვრებლებთან ჰქონდა შეხვედრა. მათ პარლამენტარი თამარ ხიდაშელი იმ სოციალური შეღავათების შესახებ ესაუბრა, რასაც "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს. როგორც მან აღნიშნა, იმ სოფლების ნუსხა, რომელთაც "მაღალმთიანი დასახლების" სტატუსი მიენიჭებათ, მთავრობის დადგენილებით უახლოეს დღეებში დამტკიცდება. პარლამენტარმა თავისი სიხარული გომბორელებსაც გაუზიარა, ამ სიაში მთის საბჭოს წარდგინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი მოხვდა - ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე გომბორელებმა ამ საკითხისთვის ყურადღების მიქცევა ჯერ კიდევ პარლამენტის წევრობის კანდიდატობის სტატუსის მქონეს სთხოვეს.

ადგილობრივი თვითმმართველობა

გამგებელმა სოციალურად დაუცველებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საჩუქრები გადასცა

31 დეკემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი**, გამგებლის მოადგილეები **დავით ივანიშვილი, გიორგი რევაზიშვილი** და გამგეობის თანამშრომლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის" ბენეფიციარებს და სოციალურად დაუცველი სტატუსისმქონე მოქალაქეებს ესტუმრნენ, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 530-მა ბენეფიციარმა მიიღო.

საახალწლო კონცერტი

31 დეკემბერს, ქ. საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით საახალწლო კონცერტი გაიმართა. კონცერტში ქართული ესტრადის ვარსკვლავები: ნინი შერმადინი, თიკა ჯამბურია, ზაზა ჯინჭარაული, გიორგი ცხვარიაშვილი, ირინა ბაირამაშვილი და ადგილობრივი შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ღონისძიება პაატა ქვლივიძემ და ირინა ბაირამაშვილმა წაიყვანეს. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* გიორგი გზირიშვილმა** საგარეჯოელებს ახალი წელი მიულოცა და წარმატებული წელი უსურვა. ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

გვანცა ჯავახიშვილი

ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ძველი წელი წავიდა, ახალი – ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს

30 დეკემბერს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* ბიორგი გზირიშვილმა** წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის წლიური ანგარიში, რომლის ჩატარების თარიღი და ადგილმდებარეობა წინასწარ ეცნობა მოსახლეობას. მაგრამ რაღაც (სავარაუდოდ, წინასაახალწლო დღეების) მიზეზების გამო დარბაზი მცირერიცხოვანი აღმოჩნდა...

თუმცა, ვერ დავიჯერებთ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ოპონენტებს არ აინტერესებდეთ მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგეობის თანამშრომლების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობა. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ინტერვიუ გვეთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ესაუბრა იმ გაწეული მუშაობის შესახებ, რაც გამგეობის თანამშრომლებმა მისი უშუალო ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში გასწიეს.

– ბატონო გიორგი, თქვენ და თქვენს თანამშრომლებს გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ამ წელში იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს. პირველი შეკითხვა: ელოდით თუ არა ასეთ მცირერიცხოვან დარბაზს.

– მადლობა მოლოცვისათვის. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, ვფიქრობდი მეტ ჩართულობას გამოიჩენდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს წინასაახალწლო დღეები იყო და ამ დროს ცოტას თუ სცალია ოჯახსგარე საკითხებისათვის. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მეც და ჩვენი თითოეული თანამშრომელიც მზად ვართ ყოველთვის საზოგადოებასთან შესახვედრად და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა და თვითმმართველობის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, თითქოს ახალი ფურცელი დაიწყო მუნიციპალიტეტების და კონკრეტულად ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. ჩვენ, ჩვენი საქმიანობით პირველ ნაბიჯებს ვდგამთ რეალური თვითმმართველობის დასამკვიდრებლად და მოქალაქეთა რეალური ჩართულობის განსახორციელებლად. ამ მიმართულებით, ჩვენი აქტიურობის ერთერთი გამოხატულება სწორედ ეს წლიური ანგარიში იყო. მუნიციპალიტეტის გამგეობა მოწოდებულია შეასრულოს ფუნქციების მთელი წყება, რაც მიმართულია იმისკენ, რომ მოწესრიგდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები ჩვენი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

– თქვენს საუბარს ალბათ გამგეობის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობით დაიწყებთ. მაშ, გისმენთ...

– ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში მიზნად ისახავდა ამომწურავად მიმეწოდებინა ინფორმაცია ჩვენს რაიონში დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე, გამგეობის მუშაობის სპეციფიკასა და მიმართულებებზე.

მოგეხსენებათ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 8 სამსახური და 7 განყოფილებაა. სამსახურები ხელმძღვანელობენ შესაბამისი კანონმდებლობით და დებულებებით. თანამშრომლები მოტივირებულნი არიან პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული უფლება - მოვალეობები.

თითოეული სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების განხორციელებაც ჩემი ხელმძღვანელობით და თითოეული თანამშრომლის კოორდინირებული მუშაობით გახდა შესაძლებელი.

დავიწყოთ **ადმინისტრაციული სამსახურით** და ამ სამსახურში დანერგილი და განხორციელებული სიახლეებით.

ადმინისტრაციული სამსახური 2015 წლის განმავლობაში გახდა უფრო მეტად ორიენტირებული მოქალაქეების ინტერესებზე, მათი საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფაზე. ჩვენს მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემის დახმარებით სამსახური მარტივად უზრუნველყოფს კორესპონდენციის მიღებას, ატვირთვას და ადრესატამდე გადაგზავნას, მ/წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით სულ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვიდა მოქალაქეების 5652 განცხადება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გამართული მენეჯმენტის და მუშაობის პირობებში მიდის ადრესატამდე და ხდება მათზე შესაბამისი რეაგირება.

განცხადებებზე პასუხი ყოველდღიურად იგზავნება ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამისი განყოფილების მიერ „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით.

გაკეთდა არსებული დოკუმენტაციის ბაზა - ელექტრონული ვერსია, რამაც გაამარტივა საცავში დაცული დოკუმენტაციის დროულად მოძიება. ახლა მიმდინარეობს დაცული მასალების შემოწმება-აღწერაზე მუშაობა, დგინდება დოკუმენტის დაზიანების ხარისხი.

სამუშაოების ინტენსივობიდან გამომდინარე, შუქდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული თუ სხვა პროექტები სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე,

ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული სამსახური ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოქალაქეების ხელმისაწვდომობა თვითმმართველობის ორგანოს მომსახურებაზე გაიზარდოს და გამარტივდეს.

იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გამგეობის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას; საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში შევიდა 1494 (ათას ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი) კორესპონდენცია, რომელთაც მოჰყვა სათანადო რეაგირება.

იურიდიული სამსახური ახორციელებდა გამგებლის, გამგეობის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს კონსულტირებას უწევდა საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში საანგარიშო წლის განმავლობაში

იურიდიული სამსახური უწყვეტად უზრუნველყოფდა გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

იცავდა მუნიციპალიტეტის კანონიერ ინტერესებს სასამართლოში, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

იურიდიული სამსახური უზრუნველყოფდა საანგარიშო წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას;

ამზადებდა გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, განთავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინების სამართლებრივი აქტების პროექტებს.

იურიდიულმა სამსახურმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამართლებრივ საკითხებზე გასცა განმარტებები მოსახლეობის მიმართვის შესაბამისად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის შესაბამისად, საკრებულოს წარედგინა სულ 75 მიმართვა, მათ შორის: შესაბამისი დადგენილების მიღების მიზნით ნორმატიული აქტის ინიცირებული პროექტები, ნორმატიულ აქტებში ცვლილების, დამატების, ძალადაკარგულად გამოცხადების და ცალკეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაცემის თაობაზე. ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ.

იურიდიული სამსახური პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და 2015 წლის მუშაობის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირი დაბრკოლება, საჯარო ინფორმაციის გაცემას არ ახლავს თან, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს და ა.შ.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის** მიერ გაწეულ მუშაობას, მათ მიერ 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი ღონისძიება.

აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობას ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ფართომასშტაბიანი იყო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში მონაწილეობას მოითხოვდა. ისინი მონაწილეობდნენ სპორტულ შეჯიბრებებში, ტურნირებში, ისინი ასევე მონაწილეობდნენ და საკმაოდ წარმატებულადაც ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა სპორტულ პაექრობებში. აღნიშნული სამსახურის ინიციატივით მოწყობილ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა ყველა კონფესიისა და ეროვნების მოსწავლე-ახალგაზრდა. მათ ასევე წარმატებები აქვთ ფოლკლორულ დათვალიერებებსა თუ ტურიზმის განვითარებისათვის მოწყობილ კონკურსებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის **ზედამხედველობის სამსახური** 2015 წლის განმავლობაში ახორციელებდა მის კომპეტენციას განკუთვნილ საქმიანობათა ფართო სპექტრზე ზედამხედველობას და მონიტორინგს. კერძოდ, ახდენდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა–ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაგებობების კონსტრუქციების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე ხდებოდა ტექნიკური და სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების კანონის დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერება ან დემონტაჟი და კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება. ექსპლუატაციაში მიიღებოდა და ამჟამადაც მიიღება დასრულებული ობიექტები და რეკონსტრუირებული ობიექტები. მშენებარე ობიექტების შემოწმებას აქვს სისტემატური ხასიათი.

ზედამხედველობის სამსახური კვლავაც გააგრძელებს ზრუნვას მუნიციპალიტეტის იერსახეზე, რაც გამოიხატება მკაცრი და ამავდროულად, სამართლებრივი სანქციებით ყოველ სამართალდარღვევის საქმეზე. განსაკუთრებით სისტემატურ ხასიათს მიიღებს ქ.საგარეჯოს იერსახეზე ზრუნვა, მუდმივი ყურადღების ცენტრში იქნება და მკაცრად გაკონტროლდება გარე რეკლამების განთავსება, მათი შესაბამისობა კანონით დადგენილ წესებთან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მოხდება საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის წესებთან დაკავშირებით მოხდება კონკრეტული ადგილების (სკვერები,პარკები, ბაღები და ა.შ...) მონიშვნა, სადაც ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდება მონიტორინგი, რათა აღნიშნული ტერიტორიები იყოს დაცული ანტისანიტარიისაგან და ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება დაისვენონ და გაერთონ ჯანსაღ გარემოში. ზემოადნიშნული ადგილების დაბინძურებისათვის გატარდება უმკაცრესი ზომები, რაც გულისხმობს საჯარიმო სანქციებს.

ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს გარე განათების კონტროლს (სოფლები: პატარძეული , ნინოწმინდა, წყაროსთავი, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი, ბადიაური, ყანდაურა და ასევე სოფელ პატარძეულში „ვმირთა სავანე“, სოფელ ჩაილურში „ნიახურას ციხე“, სოფელ მანავში „მანავის ციხე“, ქ.საგარეჯოში „პეტრე–პავლეს“ ეკლესიის განათება, ქ. საგარეჯოში მდებარე ქუჩების: ლეონიძის, ტაბიძის, ჯაფარიძის, კეცხოველის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორის, სათავის, მამისაშვილის, თბილისის, ჭავჭავაძის, არაყიშვილის, ცხვედაძის, ქეთევან წამებულის, გულისაშვილის, კახეთის, თამარ მეფის, ბაუჯა ქვლივიძის, ალაზნის, განთიადის, გამარჯვების, კოსტავას, ბარნოვის, ქართველ იუნკერთა, წულუკიძის, 9 აპრილის, ვაჟა ფშაველას, დოდაშვილის ქუჩები და კახეთის გზატკეცილი) აგრეთვე ქ. საგარეჯოში მდებარე სკვერებში არსებულ გარე განათებას.

ზედამხედველობის სამსახური ყოველ 3 დღეში ერთხელ ახორციელებს გეგმიურ მონიტორინგს მუნიციპალური გარეგანათების სისტემათა ეფექტურობის დასადგენად და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ან/და ინდ/მეწარმეს ატყობინებს ყოველი კონკრეტული დარღვევის შესახებ. გეგმიურის გარდა, ტარდება არაგეგმიური მონიტორინგიც, რათა დადგინდეს რამდენად სწრაფად და ხარისხიანად აღმოფხვრა არსებული პრობლემა გარეგანათებაზე პასუხისმგებელმა კომპანიამ ან/და ინდ/მეწარმემ.

ყოველ ორ დღეში ერთხელ ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს მდგომარეობას ნაგვის ურნებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე,(რაც გულისხმობს ურნებში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროულად გატანაზე კონტროლს) გამოვლენილ დარღვევათა შესახებ ეცნობება დასუფთავების კომპანიას. ასევე მკაცრი რეაგირება მოჰყვება ხოლმე თვითნებურად

დასასრული მე-4 გვერდზე

ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ძველი წელი წავიდა, ახალი – ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს

დასასრული

ნაგავსაყრელის მოწყობას, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობისთვის სახიფათო გარემოს შექმნასთან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მუდმივი კონტროლი ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებაზე, მათ მოჭრაზე, გადაბელვაზე და ამოძირკვაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს როგორც რეგიონულ და სოფლის პროგრამებზე, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სამშენებლო საქმეებზე. სამუშაოების დაწყებიდან დასრულებამდე ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ამოწმებენ მშენებელთა მიერ წარმოებული საქმეების შესაბამისობას დოკუმენტაციასთან (პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, ფორმა №2)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო–დაწესებულების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე ხორციელდება კონტროლი, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების ან უფლების გარეშე სარგებლობაზე ხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა.

გამგეობის **ძონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტურქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური** არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების,ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტურქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივ აქტების შესაბამისად.

ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურია, რომელიც ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პორექტებს.

პირველ რიგში მინდა ვისაუბრო საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „რეგიონული განვითარების“ ფონდიდან 2015 წელს დაფინანსებულ პროექტებზე, რომლებიც 2014 წლის მიწურულს იქნა დაგეგმილი ჩვენი სამსახურის მიერ და რომელ პროექტებზეც სამუშაოები უკვე დასრულებულია, ან დასრულდება უახლოეს მომავალში. სულ 2015 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 10 პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამაც ტენდერის ჩატარების და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეადგინა 2 235 273 ლარი. აქედან, მოხდა ორი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია: სოფელ გომბორში და სოფელ მანავში, ხოლო ქალაქ საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე მოხდა ახალი ბაღის მშენებლობა. სოფელ პატარძეულში მიმდინარეობს ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, ასევე, 4 ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ წყაროსთავში და აჭარლების უბანში. სოფელ გიორგიწმინდაში, სოფელ ბადიაურში და სოფელ კაკაბეთში მოეწყო ახალი ასფალტის საფარი. ქალაქ საგარეჯოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა თამარ მეფის ქუჩას , ახლაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქ საგარეჯოში მდებარე ერეკლე მეორის ქუჩაზე. სულ რამოდენიმე დღეა, რაც მოხდა სოფელ ხაშის სათავე ნაგებობის მოწყობისა და შიდა ქსელის რეაბილიტაციის პროექტის ნაწილის (200 000 ლარი) დაფინანსება, რომელ სამუშაოებზეც ტენდერი რამდენიმე დღეში გამოცხადდება, ხოლო სამუშაოებისთვის საჭირო დანარჩენ თანხას (300 000 ლარი) გვიფინანსებენ 2016 წლის დასაწყისში. ჩვენი სამსახურის მიერ დაგეგმილ იქნა სოფელ თოხლიაური-უდაბნოს მაგისტრალის რეაბილიტაცია, რომელი სამუშაოს პროექტიც შესყიდულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აქტიური მუშაობის შედეგად გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია გამოაცხადებს ტენდერს. აღნიშნული სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 4 700 000 ლარია.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი იყო 1 012 296 ლარი, რომელი თანხაც მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე გადანაწილებული იყო მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე, სოფლებში ჩატარებულ კრებებზე მოსახლეობის მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რომელი სამუშაოების 90 პროცენტიც ამ დროისათვის უკვე დასრულებულია.

2015 წელს, 29 დეკემბრის მონაცემებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურლი პროექტების შესყიდვაში და სამუშაოებში გახარჯულია 586 060, 78 ლარი. რომელი თანხიდანაც წყლის სისტემების რეაბილიტაციაში და მოვლა-პატრონობაში გაიხარჯა 334 389,80 ლარი, დასუფთავების ღონისძიებებში 12 553,73 ლარი,გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციაში 21 498,55 ლარი, სანიაღვრე არხების აღდგენა რეაბილიტაციაში 19 342,68 ლარი, ხევების კალაპოტის გამაგრება-გაწმენდაში 19 314, 89 ლარი,სკვერების მოწყობაში 22 225 ლარი, კეთილმოწყობაში 23 909,28 ლარი,სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციაში 27 437,86 ლარი, საგარეჯოს ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობის გამაგრებით სარეაბილიტაციო სამუშაოებში81 415,51 ლარი,საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და რეაბილიტაციაში 25 223,61 ლარი.

მარტო ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით შესწავლილია 1000 მდე მოქალაქის განცხადება, თუმცა უნდა ითქვას,რომ ბიუჯეტის სიმცირის გამო ვერ ხერხდება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომლებიც აწუხებთ განმცხადებლებს.

სამსახურის მიერ მოხდა 84 მშენებლობის ნებართვის გაცემა, საიდანაც მუნიციპალიტეტმა მოსაკრებელის სახით მიიღო 24 607, 42 ლარი.

რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში მოხდა როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონების გასხვისება, საიდანაც მუნიციპალიტეტმა მიიღო სარგებელი 15 954 ლარის ოდენობით.

მოხდა სახელმწიფოსგან როგორც ნაკვეთების,ასევე შენობა-ნაგებობების გადმოცემის მოთხოვნა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება.

სამსახური ასევე აქტიურად მუშაობს, რათა მოხდეს იმ ქონების საპრივატიზებოდ მომზადება, რომელი ქონების პრივატიზებისგანაც მუნიციპალიტეტი მიიღებს სარგებელს.

აქტიურად ვმუშაობთ სტატისტიკის მიმართულებით, ხდება ინფორმაციის მოძიება და ერთიანი ბაზის შექმნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „რთვლის შტაბის“ მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩვენი სამსახურის თანამშრომლები, რათა მოსახლეობას ზედმეტი პრობლემების გარეშე მოეხერხებინა მოწეული ყურძნის ჩაბარება. ასევე ჩვენი სამსახური უზრუნველყოფს წარმომადგენლების დახმარებით მოსახლეობისთვის აგრო და სახნავი ბარათების გადაცემას.

სამსახურს უკვე დაწყებული აქვს 2016 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე აქტიური მუშაობა, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს 4 225 000 ლარის ღირებულების პროექტები.

რაც შეეხება 2015 წლის ბიუჯეტს, მისი მოცულობა შეადგენდა 7 მილიონ 475500 ლარს. მთელი წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილება 6-ჯერ იქნა შეტანილი, რამაც ბიუჯეტი 4 მილიონ 885965 ლარით გაიზარდა და საბოლოო სახით იგი 12 მილიონ 361165 ლარით იყო წარმოდგენილი.

„რეგიონული განვითარების ფონდიდან“ მიღებულია 2 მილიონ 467453 ლარი, ხოლო „სოფლს მხარდაჭერის“ პროგრამით 1 მილიონ 012296 ლარი.

2015 წლის 28 დეკემბრის მონაცემებით შემოსავლების გეგმა 97 %-ით შესრულდა. გეგმა 10 მილიონ 757 ათას ლარს ითვალისწინებდა, ხოლო შესრულება 10 მილიონ 407637 ლარით მოხდა. მათ შორის გადასახდელის გეგმა 1 მლნ 900000 ლარით განისაზღვრებოდა, ფაქტობრივად კი გეგმა 2 მილიონ 370 ათასი ლარით შესრულდა.

არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 212 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურად კი შესრულებამ 193 ათასი ლარი შეადგინა. ე.ი. გეგმა აქ 91 %-ით შესრულდა.

ხარჯვით ნაწილში წლიური გეგმა 12 მილიონ 361 ათასი ლარით იყო გათვალისწინებული, მაგრამ აქ ხარჯვამ რეალურად 9 მილიონ 199400 ლარი გვიჩვენა. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 1მილიონ 377000 ლარი, საქონელი და მომსახურებაში გახარჯულია 1 მილიონ 103800 ლარი. სუბსიდია გახარჯულია 2 მილიონ 728700 ლარია. გრანტის მოცულობა 240592 ლარი. სოციალური დახმარებისათვის კი გაცემულია 286183 ლარი. სხვა ხარჯებმა 177541 ლარი შეადგინა. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდას – აქ რიცხვითი მაჩვენებელი 3 მილიონ 280904 ლარია.

რაც შეეხება ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით მუშაობას – ერთჯერადი დახმარების სახით 28 დეკემბრისათვის 967 განმცხადებელზე გაცემულია 96700 ლარი. 185 განცხადებაზე სამკურნალოდ გაცემულია 63762 ლარი, მედიკამენტებზე გაცემულია 56076 ლარი (382 განცხადებაზე), მარტოხელა დედებზე გაცემულია ერთჯერადი დახმარება 900 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასახმარებლად გაცემულია 6900 ლარი, უდედმამო ბავშვებზე – 2750 ლარი, უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვაზე – 600 ლარი. აფხაზეთის ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯი –1000 ლარი; დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯები – 300 ლარი; დიდი სამამულო ომის ვეტერანების დახმარება – 3000; დიდი სამამულო ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯი – 1500 ლარი; სათნოების სახლის დაფინანსება – 135085.82 ლარი; უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა – 28493 ლარი; ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისი – 10000 ლარი; 100 წელს გადაცილებული მოქ. დახმარება – 300 ლარი; დიალიზზე მყოფი მოქალაქ. დახამარება – 12800 ლარი; ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაცია – 100000; სოფელ უდაბნოს მოსახლეობის ტრანსპორტირების ხარჯი – 5427 ლარი; საახალწლო-სააღდგომო ამანათების დაფინანსება – 20000 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინკლუზიური პროგრამა „მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა“, იმ 10 საუკეთესო პროექტს შორის დასახელდა, რომელიც 2015 წელს თვითმმართველ ორგანოებში განხორციელდა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში:

შეიქმნა მონაცემთა ბაზა.

ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გუნდის მიერ შესწავლილ იქნა შშმ პირების სხვადასხვა საჭიროებები.

ჩამოყალიბდა მულტიდისციპლინური გუნდი.

ყველა სამშენებლო პროექტის შეთანხმებისას მუნიციპალიტეტის მოთხოვნაა ადაპტირებული მისასვლელების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებულია ადაპტირებული გადასასვლელები.

მოხდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ადაპტირება.

შშმ ბავშვების ჩართულობის მიზნით მოეწყო ექსკურსია, ხოლო საგარეჯოს თოჯინების თეატრმა სპექტაკლი „ხუთკუნჭულა“ წარმოადგინა.

თბილისში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით “ადგილობრივი თვითმმართველობა – საუკეთესო პრაქტიკა 2015” ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა.

დასასრულს, მინდა გითხრათ, რომ აქტიურად მიმდინარეობს ჩვენი თანამშრომლების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. გადიან ტრეინინგებს, ესწრებიან სემინარებს, რაც აუცილებლად აისახება ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობაზე დადებითად.

მომავალ წელს იგეგმება გააქტიურება არაერთი მიმართულებით. ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტები განხორციელდება დაგეგმილი მოცულობით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გაიზარდოს მოქალაქეების როლი თვითმმართველობის განხორციელებაში.

წელი — 2015

წარმატებული

ნაყოფიერად დასრულდა 2015 სასწავლო წელი საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ,კერძოდ: სახელმწიფოს ხელშეწყობით მოსწავლეებს კვლავ დაურიგდათ ***უფასო სახელმძღვანელოები***.პირველკასელებს გადაეცათ კიდევ უფრო გაუმჯობესებული ხარისხის ***კომპიუტერები*** „სწავლის ხელმისაწვდომობის“ პროექტის ფარგლებში ***მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი,*** რამაც სრულად აღმოფხვრა სკოლაში მოსწავლეთა გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევები და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესს.

„ჩემი პირველი კომპიუტერის“ პროექტის ფარგლებში საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის საგარეჯოს სკოლებიდან ***ოც მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა*** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან საუკეთესო ხარისხის ***პირადი კომპიუტერი***, ხოლო საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის ***11 მოსწავლე მიიღებს ოქროს და 11 კი ვერცხლის მედალს.***

ჩვენი ***მოსწავლეები*** აქტიურად იყვნენ ***ჩართულნი*** სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ ***საგანმანათლებლო პროექტებში, ეროვნულ ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში და საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს***. ახლახანს დასრულდა პროექტი „ეტალონი“, სადაც ჩვენი მოსწავლეების გამოსვლა საინტერესო იყო და გამოიკვეთა მათი განათლების მაღალი მაჩვენებელი.

რესურსცენტრის ინიციატივით ჩატარდა შემოქმედ მოსწავლეთა ***საღამო***, სადაც ***მოსწავლეების შემოქმედებითი უნარები*** საოცრად საინტერესოდ ***წარმოჩინდა***.

სწავლების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურა და ამ მიმართულებით დიდ თანადგომას ვგრძნობთ სახელმწიფოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან,თითქმის ყველა სკოლა უკლებლივ ***აღიჭურვა სასწავლო ინვენტარით, მოხდა სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია(რვა სკოლა), დასრულდა იორმუღალოს საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა და ახალი წლიდან სწავლება ახალ კორპუსში განახლდება. მიმდინარეობს ლამბალოს საჯარო სკოლის მშენებლობა*** და ახალი სკოლა მომავალი წლიდან შევა ექსპლოატაციაში.

მიმდინარე წელს ქ. საგარეჯოს სკოლების კურსდამთავრებულთაგან დაახლოებით 70% ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ჩარიცხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი მაღალი აკადემიური მოსწრებით ჩაირიცხა და შესაბამისად სწავლის საფასური დაუფინანსდება.ზოგიერთი მათგანის სწავლის საფასურს სახელმწიფო სრულად დააფინანსებს, ხოლო ზოგიერთისათვის მხოლოდ ნაწილს გადაიხდის.

მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ შობა –ახალი წელი !

მანანა ცუცქირიძე,
საგარეჯოს საგანმანთლებლო რესურსცენტრის უფროსი

2015 წელი— სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წელი – რეაბილიტაციის, სიახლის, ახალმოსახლეობის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არის ***27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება*** და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ***2 ალტერნატიული ჯგუფი.***

მარტიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ***მედდის*** და ***დამლაგებელის*** შტატი დაემატა,.

მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კვების ბლოკი საჭიროებდა თანამედროვე

სტანდარტების დონეზე მოწყობას და ამიტომ 23 ***სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში*** შესრულდა ***კვების ბლოკის რემონტი.***

მოწესრიგდა წყალკანალის სისტემა ***საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.***

უდაბნოში აშენდა ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგა 2015 წლის სექტემბრიდან.

საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში შეიცვალა სასმელი წყლის მილგაყვანილობა და სანტექნიკა. მუნიციპალიტეტის მიერ ***მოხდა აღდგენა საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების*** (გაღმაუბნის) – გამოიცვალა კარ-ფანჯარა, გარემონტდა სასწავლო საღამზრდელო დანიშნულების 2 ოთახი, შეძენილია ყველა სახის ავეჯი: საოჯახო ტექნიკა და სამზარეულოს მოწყობილობა. ***საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის შიდ დაწესებულებაში მოეწყო გაზის დამატებითი წერტილები*** გამათმობლების ფუნქციონირებისათვის.

გარემონტდა ***გომბორის*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა.

ახალ, კეთილმოწყობილ ***შენობაში*** გადავიდა ***საგარეჯოს №4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.***

ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ***ჩატარდა კომპლექსური ღია მეცადინეობა,*** რომელსაც დაესწრო როგორც გაერთიანების თანამშრომლები, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერები, აღმზრდელები, ფსიქოლოგები, მუსიკის მასწავლებლები. მოსმენილმა მეცადინეობამ მიიღო უმაღლესი შეფასება, რის გამოც მადლობა გამოეცხადა ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ყველა თანამშრომელს.

ივნისში ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა შემაჯამებელი მეცადინეობები სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, რამაც გვიჩვენა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები მზად იყვნენ სკოლისათვის.

ელზა გილაშვილი,
აიპ საგარეჯოს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ დირექტორი.

კულტურა — 2015

საგარეჯოში 2015 წელი, კულტურული ღონისძიებების სიმრავლით გამორჩეული და მნიშვნელოვანი წელი იყო. მრავალი კულტურული ღონისძიებები ჩატარდა,სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივი,ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. ***გაიმართა მხატვრული ნამუშევრების, ხალხური რეწვის გამოფენები. სპექტაკლები, ტურნირები, შეჯიბრებები***

უამრავ სახეობაში, მოეწყო სახალხო დღესასწაულები. ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო ღონისძიებები, ღია ცის ქვეშ კონცერტები. მთელი წლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობის ჩართულობას კულტურულ ღონისძიებებში.

ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში, ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში.

საგარეჯოს სახალხო თეატრმა საქართველოს სახალხო თეატრების „გორი-2015“ ფესტივალში ბრან-პრი მოიპოვა. რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „სისტემა“ ჟიურიმ საუკეთესოდ ჩათვალა და ფესტივალის უმაღლესი ჯილდო მიანიჭა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

საკრებულოს სხდომა

მოიწონეს 2016 წელს განსახორციელებელი, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები

11 იანვარს ჩატარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარემ ზურაბ ბურდულმა***. დღის წესრიგის I და II საკითხებზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების, პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №19 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ მოხსენებები გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის*** უფროსმა **გიორგი ქურდოვანიძემ.** საკითხის მოსმენის შემდეგ საკრებულომ გადაწყვიტა – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის II პუნქტის საფუძველზე და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამკვიდრების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად“ მოიწონოს ჩვენს მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი პროექტები – კონკრეტულად, სოფელ შიბლიანში განხორციელდება მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (ცენტრალური ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტი დაფინანსდება 1292180 ლარით), სოფელ პატარა ჩაილურში გაკეთდება სასმელი წყლის სატუმბი სადგურის რკინა-ბეტონის 100 მ3 ტევადობის რეზერვუარი და – ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალი 2 კმ-ზე (პროექტი დაფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხით 183684 ლარი). აღნიშნული პროექტების განხორციელება დაიწყება მიმდინარე წლის თებერვალში და დამთავრდება მარტში. აღნიშნულ საკითხზე შენიშვნა გააკეთა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ელდარ მეფარიძემ. როგორც მან აღნიშნა, კარგი იქნება თუ შიბლიანში ისეთი ხარისხის ასფალტი არ დაიგება, როგორიც კაკაბეთში. ***საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ამავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ* ნიკოლოზ ვაჭრიშვილმა.**

დღის წესრიგის IV და V საკითხებზე კონკრეტული საცხოვრებელი სახლების ნუმერაციის შესახებ ***მოხსენება გააკეთა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ* ელდარ მეფარიძემ.**

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს თითოეულ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება.

გამგეობის თათბირი

მთის კანონი და ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლები

12 იანვარი, 2016წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირს გამგეობის სამსახურების უფროსები და ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა გამგებლის წარმომადგენლებს იმ მუშაობისათვის, რომელიც მათ გასულ წელს მთავრობის პროგრამის „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის“ პროექტის მიზანმიმართულად განხორციელების საქმეში დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს. შეახსენათ, რომ პროგრამა კვლავ გაგრძელდება და ამ საქმისადმი კვლავაც გულისხმიერება სთხოვათ.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა მის მოადგილეებთან, სამსახურის უფროსებთან და გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ დაწვრილებით განიხილა თითოეულ თემსა თუ სოფელში გასული წლიდან გადმოყოლილი ინფრასტრუქტურული პრობლემები, დაისახა მათი ოპერატიულად მოგვარების ღონისძიებები.

გამგებლის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სიმწვავით დააყენეს სოფლებში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების ამორტიზებული საყრდენი ბოძებით მოსალოდნელი საფრთხეების შესაძლებლობა და ითხოვეს შესაბამისი კომპანიიდან დროული და ოპერატიული მოქმედება.

თათბირის მონაწილეთ სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტის გამგებელმა – გომბორის თემის სოფლები, კოჭბანის თემის ორი სოფელი – გორანა და იკვლივგორანა, ყანდაურის თემის სოფელი ზემო ყანდაურა მთის ზონის იმ სოფლების სიაში მოხვდნენ, რომლებიც მთავრობისა და ხელისუფლების მხრიდან 1 იანვრიდან განსაკუთრებული ზრუნვის დასახლებებად არიან ჩამონათვალში.

მთის კანონი ამოქმედდა

1 იანვრიდან ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმადაც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის სოციალური შეღავათები დაწესდა. რაც გულისხმობს იმას, რომ არალიცენზირებული საქმიანობის გარდა ყველა ტიპის წარმოება გადასახადებიდან (გარდა დღგ-სა) თავისუფალია. ასევე, ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერის მიზნით ძალაში შევიდა I და II ბავშვზე ყოველთვიური 100 ლარიანი დახმარება. სექტემბრიდან 180 ლარიან დანამატს მიიღებენ სოფლის ექთნები, სოფლის ექიმებისთვის 360 ლარიანი დანამატია გათვალისწინებული. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერთა პენსია სექტემბრიდან 216 ლარამდე გაიზრდება.

ვაჟა-ფშაველა

საახალწლოდ

თქვენი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ახლებო, გენაცვლენითა;
სიცოცხლე მიათკეცდება
თქვენის სიკეთის სმენითა.
აკეთეთ, რაც კი შაიძლოთ
თავით, გულით და ხელითა,
რომ შვილთ გვიკურთხონ საფლავი,
არ მოგვიგონონ წყევლითა,
ოფლმა დაღვრილმა მიწაზე
ამოაცენოს იანი,
განოყიერდეს ოფლითა
მიწა მწირი და კლდიანი,
გადაიაროს ნისლებმა,
დღე გამოვიდეს მზიანი
და აღაღანდეს მინდორი
ოფლით მორწყული, ცვრიანი.
ძვალი განედლდეს გამხმარი,
ფერფლი ადუღდეს გრძნობითა,
მკვდარნი ხარობდნენ საფლავში
კარგის შვილების ყოლითა.
მივინძრ-მოვინძრეთ... რას ვარგებთ
უქმად ტახტებზე წოლითა!
ბედს ვხედავ, როგორც მზის სხივსა,
გადმოშუქებულს გორითა,
ვამაყობ, მადალს ღმერთს ვფიცავ,
გამოსადეგის სწორითა.
ჩემს გულში სანთლად ანთიხართ,
გზა მინათდება თქვენითა;
ჯავშანს ჩაიცვამს ოცნება,
გავალმასდები ენითა.

„პოეზია — აზრადქცეული ემოცია“

მარინა შანიძე

საახალწლო დალოცვა

ანგელოზნი
გალობენ და ლხინის
ზარებს რეკენ,
მინდა ვიყო ამ
ახალ წელს ჩემი
ქვეყნის მეკვლე,
სიყვარულით
და სიკეთით,
უფლის მადლი
გმოსავთ,
გულიანო ქა-
რთველებო,
მეც გულიდან
გლოცავთ!
არ გენახოთ მტრის სიავე,
წუხილი და დარდი,
თქვენს ბაღებში ზამთარ–ზაფხულ,
კეკლუცობდეს ვარდი,
ისევ ლხინი გაფხიზლებდეთ,
ლხინით დანაპურებს,
სავსე მთვარე დაჰყურებდეს,
თქვენს ეზოს და ყურეს,
მზის სხივს სითბო შემოჰქონდეს,
გალაღებულ სულში,
თესლი უმალ ღივდებოდეს,
გუთნით გაჭრილ ხნულში,
სიმდიდრე კი სიღარიბეს,
დახვედროდეს მედგრად,
წლიდან წლამდე ხვავრიელი,
ხვავის ზვინი გედგათ,
ვაზის ნაჟურს ველარ ტევდეთ,
მამაპაპურ ქვევრში,
მტერი, შურით გათანგული,
გიკვდებოდეთ ხელში,
იჯდეს პაპა მოღიღინე,
შთამომავალს თვლიდეს,
ეზოს ჩრდილში სიხარულით,
ლამაზ აკვნებს თლიდეს,
იმ აკვნიდან სიყვარულით,
გიღიმოდეთ ჩვილი,
გაჩნდეს შვილი, შვილიშვილი,
მერე შვილთაშვილი,
ეს ქვეყანა უსასრულო,
მხოლოდ თქვენი გახდეს,
გულით ნანდომ–ნაფიქრალი,
სასიკეთოდ ახდეს!....
...და გამრავლდით ქართველებო,
როგორც ზღვაში ქვიშა,
მამულისთვის ბევრზე ბევრი,
გმირთა–გმირი იშვას,
უფლის მადლმა გიწყალობოთ,
რაც მე გულით ვერ ვთქვა,
ხვალის რწმენა და იმედი
დაგილოცოთ ღმერთმა!!!

ლამარა მათია შვილი-ფანოზი შვილი

მრავალს დაესწარით

სამყაროს თაღქვეშ ულამაზესო,
მე შენ
წალკოტში მიდ-
გას ფესვები,
შენი მეკვლე
ვარ ჩემო მამულო
–
მომილოცია ახ-
ალი წელი.
რაზედაც ვწუხვართ და რაც გვადარდებს,
თან გაიყოლებს მას ძველი წელი.
აღმა იარე გაშლილი დროშით,
მშვიდობა გვქონდეს, გვიმრავლოს ერი.
ვაზის ნაწურით გლოცავ, მამულო,
ამ წელს აგვიხდეს ყველა სურვილი,
– ისევ გამთლიანდი, მალე დაიბრუნე,
შენი სამაჩაბლო, შენი აფხაზეთი.
დიდებით მიჰყევ მარადისობას,
შენთვის ვლოცულობ, ჩემო საყვარელო,
წარმატებების ყოფილიყოს ეს ახალი
წელი,
მრავალს დაესწარი, ჩემო საქართველო!..

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

გიგლა ბუზარიაშვილის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირზე

დეკემბრის ბოლო დეკადაში საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტ-კომპლექსის საჭიდაო არენამ თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი თანამემამულის, ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონის გიგლა ბუზარიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირს უმასპინძლა. ტურნირი 2001-2003 წლიან ჭაბუკებს შორის წონით კატეგორიაში ჩატარდა, რომელშიც გარეჯელ ფალავნებთან ერთად ყაზბეგის, რუსთავის, კოდორის, დიღმის, გამარჯვების, ყვარლის, მცხეთისა და სხვა სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ასპარეზობა 23 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა გამოსვლით დაიწყო, სადაც საგარეჯოელ ფალავნთაგან მესამე საპრიზო ადგილი ნიკოლოზ ნანუაშვილმა დაიკავა.

26 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა თორნიკე ასაბაშვილი, რომელმაც ამ ტიტულისათვის ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა თანაგუნდელი შალვა გულისაშვილი.

29 კგ წონითი კატეგორიის გამოტოვების შემდეგ, საგარეჯოელთაგან 32 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა გიორგი საგინაშვილმა. საპრიზო ადგილების გარეშე დარჩნენ საგარეჯოელები 35 კგ წონით კატეგორიაშიც. სამაგიეროდ, ოქროს და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მომდევნო 38 კგ წონით კატეგორიაში. აქ ჩემპიონი გახდა გიგი ქურხული, მეორე ადგილი კი თორნიკე თულაშვილმა დაიკავა.

47 კგ წონით კატეგორიაში თბილისელ მეტოქესთან ფინალური შეხვედრაში ჩემპიონობის შანსი დაკარგა ფირუზ ქვლ;ივიძემ და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ორმა ჩვენმა ფალავანმა იმარჯვა 53 კგ წონით კატეგორიაში. აქ ჩემპიონი გახდა ბაჩო ქვლივიძე, მესამე ადგილზე გავიდა გიგა ჭინჭარაული.

59 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაო მოიპოვა დავით კუჭუაშვილმა.

73 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი გაიყვეს ხაშმელმა მოჭიდავეებმა ლუკა მამუნიშვილმა და ნიკა შინჯიკაშვილმა. საგარეჯოელი ფალავნები აღნიშნული ტურნირისათვის მოამზადა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელ-მასწავლებელმა რამაზ ასაბაშვილმა.

სამბო

როინ ქაიხოსროშვილის მემორიალი საგარეჯოში

საგარეჯოს საჭიდაო არენაზე ჩატარდა საქართველოსა და სსრკ ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საგარეჯოელი როინ ქაიხოსროშვილის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

მემორიალში საგარეჯოელ ფალავნის ხსოვნის პატივსაცემად და ძალების მოსასინჯად მასპინძელი გარეჯელი ფალავნების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ დმანისის, ახმეტის, ტყიბულის, თერჯოლის, სიღნაღის, თბილისისა და სომხეთის სხვადასხვა გუნდების ფალავნები.

ასპარეზობა 28 კგ წონით კატეგორიის ფალავნებმა დაიწყეს და მედლები სულ 11 წონით კატეგორიაში გათამაშდა.

პირველ, დამწყებ წონაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი დავით კევლიშვილი, ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები შოთა ბაჩოშვილი და ლევან ღრეული.

მომდევნო, 32 კგ წონით კატეგორიაშიც საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა იმარჯვეს. აქ I ადგილზე გავიდა გიორგი სონიძე, მესამეებზე – სოსო მელაშვილი და მახარე გულბანი.

საგარეჯოელმა ფალავნებმა საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსი არ მისცეს 35 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სხვა გუნდების წარმომადგენლებს. აქ I ადგილზე გავიდა თენგო ზირაქაშვილი, მეორეზე – სულიკო გეთიაშვილი, მესამეებზე – გიგა მასურაშვილი და ნიკა ჩოკოშვილი.

38 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი სომეხი არამ პოღოსიანი აღმოჩნდა, რომელმაც ფინალი საგარეჯოელ მირიან კურდღელაშვილს მოუგო. ამავე წონაში მესამე ადგილი გაიყო გიორგი არღვლიანმა (საგარეჯო).

საგარეჯოს გუნდს პრიზიორები არ ჰყავდა 42 კგ წონით კატეგორიაში. სამაგიეროდ, მესამე ადგილები გაიყვეს 46 კგ წონით კატეგორიაში მონაწილე გიორგი ოსეფაშვილმა და მამუკა ბიბილაძემ.

იგივე შედეგები აჩვენეს 50 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე რატი ჩიტიძემ და დავით შათირიშვილმა.

როინ ყორღანაშვილი და ნუკრი უცუნაშვილი ბრინჯაოს პრიზორები გახდნენ 54 კგ წონით კატეგორიაში.

შემდეგი წონითი კატეგორია, სადაც ჩვენმა სამბისტებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს, 59 კგ წონითი კატეგორია იყო. აქ ჩემპიონი გახდა ნიკა ამირეჯიბი, ხოლო ვასო ოთიაშვილმა მესამე ადგილის დაკავება შეძლო.

მომდევნო ორ წონაში (65 და 71კგ) საპრიზო ადგილები ახმეტის, სომხეთის, ტყიბულისა და თერჯოლის მოჭიდავეებს შორის განაწილდა. მძიმე წონაში (+71კგ) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა თორნიკე ქურხულმა.

მემორიალის საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ აიპ. „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით.

ძიუ-დო

თავი ისახელეს მარტყოფში

დეკემბრის ბოლოს გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფში ჩატარდა ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის. მასში მონაწილეობას იღებდნენ ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, გორის (2 გუნდი), ქარელის, თბილისის სპორტსკოლების და საგარეჯოდან გიორგიწმინდის სპორტდარბაზის ნორჩი ძიუდოისტები.

აღნიშნულ ტურნირში 30 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა გიორგიწმინდელმა დავით კევლიშვილმა. მისმა თანაგუნდელებმა ლევან ღრეულმა (30 კგ წონით კატეგორია) და ნუგზარ ნაცვლიშვილმა (34 კგ წონით კატეგორია) მესამე ადგილები გაინაწილეს. გიორგიწმინდელი ძიუდოისტების მწვრთნელები არიან ბადრი ბასილაშვილი და გოდერძი (გოჩა) მეკოკიშვილი.

სპორტი

ფეხბურთი

ნორჩი გარეჯელები ჯერჯერობით საჭურნირო ცხრილს მეთაურობენ

გასული წლის დეკემბერში დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის გიგა ნორაკიძის სახელობის ტურნირის პირველი წრის გათამაშება, რომელშიც ქვეყნის 2003 წლიანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული 14 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რეზო ხებრელაშვილისა და დათო მაისურაძის აღსაზრდელი ნორჩი ფეხბურთელები, რომელთაც მართლაც და შესაშური შედეგით დაასრულეს I წრის გათამაშება. ექვსი თამაშიდან ექვსი მოგებით, არც ერთი წაგებისა და ფრის გარეშე ისინი ტურნირის გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ. კერძოდ, ამ წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე მათ 2:1 დაამარცხეს რუსთაველი თანატოლები. გარეჯელებმა მცხეთის გუნდს 3:1 სძლიეს, „ნორჩ დინამოს“ გამანადგურებელი ანგარიშით 5:1 მოუგეს, თბილისის „სამგორს“ 3:1, „აფხაზეთს“ – 3:0, წილკნის გუნდს – 1:0, რითაც საბოლოოდ 18 ქულა და სატურნირო ცხრილის მეთაურის ადგილი დაიკავეს.

როგორც ჩვენთან საუბარში გუნდის მწვრთნელმა რეზო ხებრელაშვილმა განაცხადა, გუნდს სრული შესაძლებლობა გააჩნია და გეგმავს, რომ ჩემპიონატის II წრეში იბრძოლოს სატურნირო ცხრილის პირველ სამეულში შესასვლელად, რისთვისაც ჰყავთ ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელი. მათ შორის არიან: მეკარე გიორგი ბედიაშვილი, რომელიც ამ ტურნირში თავისზე ორი წლით უფროს ასაკში იღებდა მონაწილეობას, ნახევარმცველი ნიკა მეკოკიშვილი (2004წ), შალვა ღრუბელაშვილი, დაჩი მათიაშვილი, ლაშა კერატიშვილი, ილო ივანიაშვილი, გიორგი ჯანიბეგაშვილი, რატი ხოშტარია (2005წ).

წარმატებით დაასრულეს ამავე ჩემპიონატის ძიაპშიპას სახელობის ტურნირის I წრის გათამაშება აღნიშნულ;ი მწვრთნელების 2004 წლიან „გარეჯელთა“ გუნდის ფეხბურთელებმაც. 6 შეხვედრიდან 5 მოგებითა და 1 წაგებით ისინი სატურნირო ცხრილის მესამე ადგილზე იმყოფებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გუნდი თავისი შექმნის ისტორიაში პირველად იღებდა მონაწილეობას ამ რანგის შეჯიბრებაში. ამჟამად ორივე გუნდის მოთამაშეები დროებით შესვენებაზე არიან და მეორე წრისთვის მზადებას 20 იანვრიდან განაახლებენ.

გ. დაბახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს და პირველი შვილიშვილის **ილია ჭიაურელის** შეძენას ვულოცავთ ბ-ნ **ილია ჭიაურელს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და გამრავლებას. კვლავაც თქვენეული შემართებით ყოფილიყავით ყოველივე ქართულის, ენის, მამულის, სარწმუნოების ქომაგი.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბ-ნ **გია ჩალათაშვილს,** გამარჯვებები, სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად, კვლავაც დირსეულად გეტარებინოთ ქართველობის, საქართველოსა და საგარეჯოს გულშემატკივრის სახელი. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში უღალატოდ მყოფი პიროვნება და პროფესიონალი ექიმი.

დაბადებიდან 88 წლის შესრულებას ვულოცავთ ისტორიკოსს, ჟურნალისტს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს, მწერალსა და ბიბლიოგრაფს, ჩვენი გაზეთის მეგობარსა და გულშემატკივარს ბატონ **ალექსანდრე ელერდაშვილს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

საუკუნის ბოლო ათეულის ათვლის დაწყებას, დაბადების დღესა და შობა-ახალ წელს ვულოცავთ ჩვენს მრავალჭირნახულ, 50 წლიანი პედაგოგიური საქმიანობით ქვეყნის წინაშე დირსეულად ვალმოხდილ დედასა და ბებიას **გალინა დაბახიშვილს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს. ღმერთმა ძალა და შეძლება შესძინოს 100 წლიანი რუბიკონის გადასალახავადაც.

გივი, თემური, მანანა, იაგო, ია დაბახიშვილები

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მენეჯერს **ტარიელ როსტომაშვილს** და სპეციალისტს **გიორგი დიღმელაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და საყვარელ ოჯახებთან ბედნიერ ცხოვრებას.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის მეგობარს **სონიკო ბაღდადაშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და საყვარელ ოჯახთან ბედნიერ ცხოვრებას.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

„ალილო“

ბავშვები და არა მარტო ბავშვები ყოველთვის დიდი სიხარულით ველოდებით საუკუნეების განმავლობაში ტრადიციად ქცეულ საშობაო „ალილოს“. „ალილო“ ხომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ჩვენი მაცხოვრის – იესო ქრისტეს დაბადებას ამცნობს და უფლის განკაცებას ულოცავს. ამ დროს საყოველთაო სიხარული, ურთიერთსიყვარული სუფევს ირგვლივ. ყველა აქტიურად ერთვება ამ სასიხარულო ფერხულში და დამეთანხმებით, რადაც ამაღლებულს გრძნობს მასში მონაწილე თითოეული ადამიანი. ნინოწმინდა-საგარეჯოს ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე ლუკას (ლომიძე) კურთხევით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ნინოწმინდაში, წყაროსთავსა და პატარძეულში ჩატარდა საშობაო „ალილო“, რომლის ინიციატორი იყო ნინოწმინდის დედათა მონასტრის წმ. ნინოს ეკლესიის მოძღვარი მამა ვახტანგი (მჭედლიშვილი) და მისი მრევლი. „ალილოში“ მონაწილეობა მიიღეს ამ სოფლებში მცხოვრებმა მრევლმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა, მათმა მეგობრებმა, მშობლებმა. მეალილოები დიდი სიხარულით, სიმღერებით ულოცავდნენ თავიანთი სოფლის მართლმადიდებლებს ქრისტეშობას, 2000 წლის წინ ჩვენი მხსნელის – იესო ქრისტეს დაბადებას და მასპინძლებიც, მეალილოების მილოცვით გახარებულები ბავშვებს ტკბილეულს, სხვადასხვა ნუგბარს ჩუქნიდნენ, ულოცავდნენ და მადლობას უხდიდნენ. ირგვლივ ისეთი სიხარული და სიყვარული სუფევდა, რომ ადამიანი ადვილად შეიგრძნობდა იმ მადლს, რომელიც ქრისტეშობის დღესასწაულის დღეს ეუფლება მორწმუნეს და თვით დროებით ურწმუნოებაში მყოფსაც – თითქოს ჩვენთან ერთად ღვთის ანგელოზებიც გალობდნენ და ამ გალობით გვითბობდნენ სულს.

ჩვენთან, ბავშვებთან, მრევლთან, მეალილოებთან ერთად დიდ სიხარულს გამოხატავდა მამა ვახტანგი, რომელიც მისთვის ჩვეული ქრისტესმიერი სიყვარულით გვლოცავდა ყველას, მონაწილეობდა ჩვენთან ერთად, მადლიერებას გამოხატავდა იმ ადამიანების მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჩუქრებისათვის, ვინც ის ერთი ლამაზი დღე აჩუქა ბავშვებს. ჩვენ კი, საშობაო ალილოს მონაწილენი დიდ მადლობას ვუხდით მეუფე ლუკას, მამა ვახტანგს, ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის დედებს, სტიქაროსნებს, სამივე სოფლის მრევლს, ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორს ლია შენგელიძეს, მის მოადგილეს ანა მარგიანს, სკოლის ყველა პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს ასეთი სულისკვეთების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და საერთოდ, სამივე სოფლის მოსწავლეახალგაზრდობის გვერდში დგომისათვის. ასევე, მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ბურდულს, ფერმერებსა და მეწარმეებს: გიზო როჭიკაშვილს, ზაზა გულიკაშვილს, სოსო კონიაშვილს, პაატა ასრათაშვილს, პაატა კონიაშვილს, გია ოკინაშვილს, დავით მარხვაშვილს, ნუკრი გაგნიაშვილს, განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ელდარ მეფარიძეს, ვეფხია ჩერქეზიშვილს და ამავე საკრებულოს თანამშრომელს ცინარი კონიაშვილს, გამგებლის წარმომადგენლებს ნინოწმინდაში თამარ გარსევანიძეს, სათაფლეში – ემზარ გორგილაძეს, წყაროსთავში – გიორგი ბეჟიტაშვილს, რომლებიც დაგვეხმარნენ „ალილოს“ ორგანიზებასა და ამ ლამაზი დღის გალამაზებაში, შემოწირულობათა შეგროვების და ოჯახებზე გადაცემის ორგანიზებაში. მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ბავშვებისათვის დიდი სიხარულის მინიჭების საქმეში. ეს დღე არა მარტო მათთვის არის დაუვიწყარი, დაუვიწყარია მასში მონაწილე ყველა ადამიანისთვისაც.

უფალმა დალოცოს და გააძლიეროს ჩვენი ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე ლუკა და მღვდელმსახური მამა ვახტანგი იმ სიყვარულისა და ზრუნვისათვის, რასაც ისინი იჩენენ თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანის, თითოეული ადამიანის მიმართ. მეალილოეებს დიდხანს გვემახსოვრება იმათი გახარებული სახეები, ვისაც „ალილოს“ დროს ქველმოქმედ ადამიანებიდან შემოწირული პროდუქტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ტანსაცმელი, ტკბილეული გადავეცით.

სალომე შიოშვილი,
ნინოწმინდის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე.

„დემოგრაფია-2016-ს“ პირველი მერცხლები

„წუხელის ბიჭი
დაბადებულა“...
„დაბადებულა წუხელის
გოგოც“...

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru